მითების მსხვრევები

დამოუკიდებელი ცხოვრება

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ENIL
rights empowerment independence options

დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის
ინიციატივა

“ ბევრ სხვადასხვა ადგილას მიცხოვრია, ხშირად მიწევდა მეგობრებისგან სახლის, ბინის ქირაობა, სადაც მოკლე დროის მანძლზე ვცხოვრობდი ხოლმე და ყველაზე უარესი ისაა, რომ სხვების საცხოვრებელ სივრცეში ვიჭრებოდი, რადგან სასოწარკვეთილი ვეძებდი საცხოვრებელ ფართს. ჩემი ფიზიკური შეზღუდვა კიდევ უფრო გაუარესდა და მუდმივად ტკივილებს განვიცდიდი კიბეებზე სიარულისაგან. შესაბამისად, ისე გამოდიოდა, რომ უფრო მეტ დროს ლოგინში ვატარებდი და ვიმალებოდი სხვებისაგან, ან ვტიროდი, რადგან არ შემეძლო დამოუკიდებლად ცხოვრება. ”

“ ახლა მივიღე მხარდაჭერა ნათესავებისაგან საცხოვრებელი ფართის პოვნაში ერთერთ საერთო სახლში. ვერ ვახერხებ ცალკე სახლის ქირაობას, რადგანაც სახლების გამქირავებელი სააგენტოები, რისკების შეფასების საფუველზე, ძირითადად არ ენდობიან ისეთ ადამიანებს, ვისაც ჰყავთ ისეთი თანა-მქირავებელი, რომელიც არც მათი პარტნიორია და არც ოჯახის წევრი. ასე რომ მე მარტო იმის შესაძლებლობა მაქვს, რომ მივიღო ზოგადი, მენტალური ჯანმრთელობის სერვისები, რის შედეგადაც წამერთვა საშუალება, რომ მეზრუნა სამსახურის შოვნაზე და ჩავიკეტე სახლში - ყველაფერმა ამან კი თავისი უარყოფითი ზეგავლენა იქონია ჩემს ფიზიკურ და მენტალურ მდგომარეობაზე. ”

მითების მსხვრეველი

დამოუკიდებელი ცხოვრების
ევროპული ქსელი
დეკემბერი, 2014

კოალიცია დამოუკიდებელი
ცხოვრებისათვის
აპრილი, 2016

მითების მსხვრეველის შესახებ:

დამოუკიდებელი ცხოვრების იდეის გარშემო არებულ წინამდებარე მითების მსხვრეველში შესულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და პერსონალური დახმარების შესახებ ყველაზე ფართოდ გავრცელებული ცრურწმენები და მცდარი აზრები. აღწერილი მითები აღებულია რეალური ადამიანების ცხოვრებისა და გამოცდილებიდან.

დამოუკიდებელი ცხოვრების ევროპულმა ქსელმა (დცექ) გადაწყვიტა გამოეცა ბროშურა, რათა გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერება დამოუკიდებელი ცხოვრების შესახებ და იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება დამოუკიდებელი ცხოვრება იქცეს რეალობად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის. ყველაზე მთავარი მიზეზი კი გახლდათ იმ სხვადასხვა მითისა და ცრურწმენის განხილვა და გაფანტვა, რომელიც ტრიალებს დამოუკიდებელი ცხოვრების იდეის გარშემო და რომელიც წარმოაჩენს დამოუკიდებელ ცხოვრებას, როგორც ინსტიტუციის გარკვეულ ფორმას. იმედი გვაქვს, რომ წინამდებარე ბროშურა ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი ცხოვრებისა და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის მე-19 მუხლის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაღრმავებას.

© დამოუკიდებელი ცხოვრების ევროპული ქსელი, დეკემბერი 2014

ანიმაცია: დეივ ლუპტონი, Crippen Cartoons
დიზაინი: ჯუდიტ კოვაჩი, Createch Ltd.
დაიბეჭდა დუბლინში, ირლანდია

© კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის - აპრილი 2016

თარგმანი და დიზაინი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი ცხოვრების ევროპული ქსელის შესახებ (European Network on Independent Living)

დამოუკიდებელი ცხოვრების ევროპული ქსელი (დცექ) არის ევროპის მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაერთიანება. ეს არის ფორუმი, რომელიც შექმნილია ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ორგანიზაციებისათვის და ყველასთვის, ვინც დამოუკიდებელი ცხოვრების საკითხებზე მუშაობს. დცექ-ის მისიაა დამოუკიდებელი ცხოვრების ფასეულობების, პრინციპებისა და პრაქტიკების ადვოკატირება და ლობირება: ბარიერებისაგან თავისუფალი გარემოს შექმნის ხელშეწყობა, დეინსტიტუციონალიზაციის და პერსონალური დახმარების სისტემების ადვოკატირება და ა.შ. დცექ კოორდინაციას უწევს თემში ცხოვრების ევროპულ კოალიციას (European Coalition for Community Living) და არის ევროპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფორუმის (European Disability Forum) წევრი. დცექ ასევე, წარმოდგენილია ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს ფუნდამენტური უფლებების პლატფორმის მრჩეველთა საბჭოში (Advisory Panel to the EU Fundamental Rights Agency's Fundamental Rights Platform).

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრების შესახებ

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის თბილისსა და საქართველოს მასშტაბით მოქმედი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე 28 არასამთავრობო ორგანიზაციის გაერთიანება, რომლის მიზანია, შეიქმნას თანაბარი პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის პოტენციალის გამოსავლენად და ხელი შეეწყოს მათ მაქსიმალურ ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სპორტულ და კულტურულ ცხოვრებაში. კოალიცია 2003 წლიდან მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის და სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესებაზე. კოალიციის საქმიანობის ერთერთი მიმართულებაა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული (ნეგატიური) მიდგომების ჩანაცვლება ახალი, თანამედროვე მიდგომებით, ფიზიკური გარემოსა და კანონმდებლობის გაუმჯობესება და თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაძლიერება/გააქტიურება.

მითების მსხვრეველი

მითი

დამოუკიდებლად ცხოვრება იგივეა, რაც თვითკმარობა.

ფაქტი

არავინაა თვითკმარი. შეზღუდული შესაძლებლობა გვაქვს თუ არა, ჩვენ ყველას გვჭირდება სხვების დახმარება ჩვენი ცხოვრების რაღაც ეტაპებზე.

დამოუკიდებელი ცხოვრება არ არის მიბმული დახმარების გარეშე საკუთარ თავზე ზრუნვისათვის საჭირო ფიზიკურ და ინტელექტუალურ უნარებზე; დამოუკიდებლობა მიიღწევა დახმარების მიღებით მაშინ და როცა ამის საჭიროება დგას.

დამოუკიდებელი ცხოვრება ნიშნავს, რომ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს ჰქონდეს იგივე არჩევანი, კონტროლი და თავისუფლება, რაც ნებისმიერ სხვა მოქალაქეს - სახლში, სამსახურში და როგორც საზოგადოების წევრს. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ადამიანმა ყველაფერი მარტო უნდა გააკეთოს, მაგრამ ეს ნამდვილად ნიშნავს იმას, რომ ის პრაქტიკული დახმარება, რაც ადამიანს შეიძლება სჭირდებოდეს, უნდა იყოს დაფუძნებული მის არჩევანსა და მისწრაფებებზე.

რეალურად, არავინ არაა თვითკმარი - ჩვენ ყველას გვჭირდება და ვსარგებლობთ ხოლმე დახმარებით ცხოვრების რაღაც ეტაპებზე. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების დროს ჩვენ შეიძლება გავესაუბროთ ოჯახის წევრს ან მეგობარს. ეს შეიძლება იყოს ისეთი მარტივი გადაწყვეტილება, როგორიცაა, რა მივირთვათ სადილად, ან ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, როგორიცაა, მაგალითად კარიერის არჩევა ან შეცვლა. ჩვენ ასევე შეიძლება დაგვჭირდეს დახმარება შვილების აღზრდაში; დაგვჭირდეს ემოციური მხარდაჭერა; დახმარება ავადმყოფობის დროს; ან ფინანსური დახმარება სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ განსხვავდებიან ამ კუთხით.

ქითი

დამოუკიდებელი ცხოვრება არაა ყველასთვის.
ჩვენ ყოველთვის დაგვჭირდება ინსტიტუციები.



ფაქტი

სწორი მხარდაჭერის მიწოდების
შემთხვევაში ყველას შეუძლია
საზოგადოებაში ცხოვრება.

ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ჯგუფებს უწევდათ საკუთარი უფლებების პატივისცემისათვის ბრძოლა – რასობრივ და ეთნიკურ უმცირესობებს, ქალთა მოძრაობებს და LGBTI თემის წარმომადგენლებს – ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები ჯერ კიდევ იბრძვიან თავისი უფლებისათვის, იცხოვრონ დამოუკიდებლად საზოგადოებაში და არ იყვნენ იზოლირებული.

ბევრ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს ეზღუდება უფლებები და თავისუფლებები სხვა ადამიანების მიერ გამოტანილი დასკვნების და ცრურწმენების გამო. ეს მცდარი დასკვნები და სამედიცინო მიდგომა, რომელიც ჯერ კიდევ გავრცელებულია სხვადასხვა პროფესიონალებში, სერვის-პროვაიდერებსა და ზოგჯერ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებშიც კი, ყველაზე მეტად ზღუდავს არჩევანისა და შესაძლებლობების თავისუფლებას, ვიდრე ადამიანის ნებისმიერი სხვა მახასიათებელი. ეს განსაკუთრებით ეხება ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ადამიანებს ან მათ, ვისაც უფრო კომპლექსური მენტალური საჭიროებები აქვთ. ინსტიტუციების არსებობის ყველაზე რეალური ახსნა არის არა ის, რომ ზოგიერთ ადამიანი "ძალიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა", იმისათვის, რომ საზოგადოებაში იცხოვროს. ეს ასე ხდება, იმიტომ, რომ საზოგადოება არაა მზად ან არაა საკმარისად ტოლერანტული, რომ მიიღოს, დააფასოს და იზეიმოს განსხვავებული და უნიკალური შესაძლებლობები.

ხშირად ასკვნიან ხოლმე, რომ ერთი და იგივე დიაგნოზის მქონე ადამიანებს ერთი და იგივე საჭიროებები აქვთ. ამ ლოგიკით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ერთ სივრცეში მოთავსება, როგორიცაა ინსტიტუცია, ეკონომიკურადაც და სოციალურადაც გონივრული ჩანს. თუმცა, ასე მარტივად არაა საქმე. შეზღუდული შესაძებლობის მქონე ადამიანებს განსხვავებული საჭიროებები, ინტერესები, ნიჭი და იმედები აქვთ. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში, ხშირად ისე ხდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს თავად არ სურთ ინსტიტუციის დატოვება. ეს, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს, როგორც ინსტიტუციების შენარჩუნების გამართლება. თუმცა, როგორც გრძელვადიანი პატიმრების შემთხვევაში, ინსტიტუციებში მცხოვრებ პირებს უფრო ეშინიათ ინსტიტუციის დატოვება, რადგანაც სხვანაირად ცხოვრება არ იციან – ვიდრე ის, რომ თითქოს ისინი არ არიან ამისთვის მზად. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიერ გაწეული მხარდაჭერა. ისინი ეხმარებიან ინსტიტუციებში მაცხოვრებლებს, რომ გაუჩნდეთ ნდობა და თავდაჯერება, მიიღონ სათანადო მხარდაჭერა და სხვა აქტივობებთან ერთად, დაიწყონ სოციალური კავშირების შენება.

მითი

დამოუკიდებელი ცხოვრება ნიშნავს, რომ არ გჭირდება არანაირი მხარდაჭერა.



ფაქტი

დამოუკიდებელი ცხოვრება შეუძლებელია მხარდაჭერის გარეშე.

ფართოდ გავრცელებული მცდარი აზრი დამოუკიდებელი ცხოვრების შესახებ არის ის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანმა უნდა შეძლოს დამოუკიდებლად ცხოვრება და თავად გააკეთოს ყველაფერი, სხვისი დახმარების გარეშე. ამ მიზეზით, მხარდაჭერის მაღალი საჭიროების მქონე ადამიანს ხშირად თვლიან, როგორც "ზედმეტად შეზღუდული შესაძლებლობის მქონეს" იმისათვის, რომ იცხოვროს დამოუკიდებლად. თუმცა, დამოუკიდებელი ცხოვრება რეალურად ნიშნავს იმას, რომ ის მხარდაჭერა, რაც ადამიანმა უნდა მიიღოს, უნდა ეყრდნობოდეს მათ სურვილებს, საჭიროებებსა და არჩევანს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები არ უნდა იყვნენ იძულებული, თავისი ცხოვრება მოარგონ მხარდაჭერის არსებულ სერვისებს - პირიქით, ეს სერვისები მოქნილი უნდა იყოს და პასუხობდეს თითოეული ადამიანის მოთხოვნებს.

რეზიდენტულ დაწესებულებებში "მხარდაჭერის" მიღება ნიშნავს ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას, როგორიცაა პირადი ჰიგიენა, კვება და სახლის საქმეები და ძალიან ცოტა დრო იხარჯება (თუ კი იხარჯება საერთოდ) რეაბილიტაციასა და სოციალურ აქტივობებზე. რეზიდენტულ დაწესებულებაში ადამიანის მოთავსების მოტივაცია ხშირად თანხის დაზოგვის საჭიროებაა, როცა შეზღუდული რაოდენობის პერსონალი "ეხმარება" დიდი რაოდენობის ბენეფიციარს. დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებები კი, პირიქით, მხედველობაში იღებს ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს, მათ შორის: დასაქმებას, განათლებასა და ადგილობრივი თემის წევრობას. დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერები არ გულისხმობს ადამიანის მხოლოდდამხოლოდ ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას, მაგრამ ასევე ნიშნავს ადამიანების დახმარებას, რომ მათ მიიღონ ხარისხიანი ინფორმაცია, რჩევა და ადვოკატირება, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული სერვისები.

დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების დროს ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მხარდაჭერა იყოს მართული და გაკონტროლებული თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის მიერ და არ უნდა ხდებოდეს მხარდაჭერის კარნახი სერვის-პროვაიდერის მიერ. პრაქტიკულად, ეს ნიშნავს იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანმა უნდა შეძლოს, თავად გადაწყვიტოს, თუ ვინ იქნება მისი პერსონალური დამხმარე, რა დახმარებას მიიღებს მისგან, სად და როდის. ამ პროცესის მონიტორინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისათვის, ვისაც მხარდაჭერის მაღალი საჭიროებები აქვთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი აკონტროლებენ თავიანთ მხარდაჭერას (და არა პირიქით), საჭიროების შემთხვევაში ადვოკატის დახმარებითაც.

ზემოთ დახასიათებულ მცდარ აზრთან კავშირშია ასევე ისეთი დეინსტიტუციონალიზაცია, რომელიც გულისხმობს რეზიდენტული დაწესებულებების დახურვას თემში ცხოვრებისათვის საჭირო სათანადო მხარდაჭერის სერვისების შემუშავების გარეშე. როგორც ზემოთ ავხსენით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის შემდეგ არ უნდა ველოდოთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გახდებიან თვითკმარები. ისეთ ქვეყნებში, სადაც დეინსტიტუციონალიზაცია კარგი დაგეგმარების გარეშე მოხდა, ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი აღმოჩნდა უსახლკაროდ და უფრო უარეს მდგომარეობაში, ვინდრე ინსტიტუციაში ცხოვრების დროს, რადგან ძალიან ცოტა ან საერთოდ არანაირი მხარდაჭერის სერვისები არ იქნა შემუშავებული და დანერგილი. ამ მიზეზების გამო, ინსტიტუციების დახურვასთან ერთად დეინსტიტუციონალიზაცია ნიშნავს ისეთი ადეკვატური სპეციალური სერვისების შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს დამოუკიდებელ ცხოვრებას.

მითი

შშმ ადამიანები იქნებიან იზოლირებული და მარტოსული, თუ დამოუკიდებლად იცხოვრებენ, რადგან დამოუკიდებლად ცხოვრება ნიშნავს, რომ მოშორდე შენს ოჯახს და იცხოვრო მარტო.

ფაქტი

დამოუკიდებელი ცხოვრება არ ნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებმა მარტო უნდა იცხოვრონ, მაგრამ ნიშნავს იმას, რომ მათ უნდა ჰქონდეთ არჩევანის საშუალება, თუ სად და ვისთან ერთად იცხოვრებენ.

რეზიდენტული დაწესებულებების არსებობის მომხრეები ხშირად ამტკიცებენ, რომ საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები შეიძლება აღმოჩდნენ იზოლაციის რისკის წინაშე. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები უფრო ბედნიერები არიან ინსტიტუციაში, რადგანაც ისინი იქ ცხოვრობენ "მეგობრებთან", ანუ სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთად. ეს ხედვა არის ზედმეტად მზრუნველი, მეურვის პოზიცია და შესაბამისად, არასწორი. რეალურად, რეზიდენტული დაწესებულებები, პირიქით, იზოლაციისა და სეგრეგაციის სინონიმია იმ რამდენიმე მიზეზის გამო, რომლებიც ქვემოთაა აღწერილი.

როგორც წესი, რეზიდენტულ დაწესებულებებში ერთად საცხოვრებლად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს არჩევს გარკვეულ პროფესიონალთა ჯგუფი. შედეგად, ეს ადამიანები მოთავსებული არიან ერთ სახლში ან ერთ კონკრეტულ შენობაში მათი შეზღუდული შესაძლებლობის გარკვეული ფორმის და ტიპის მიხედვით და არა იმიტომ, რომ ეს მათი პირადი არჩევანია. ასევე, რეზიდენტული დაწესებულებები, როგორც წესი, ძალიან შორსაა იმ ადგილისაგან, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ოჯახი და მეგობრები ცხოვრობენ, შესაბამისად, იკარგება ბუნებრივი მხარდაჭერის მიღების საშუალებები. ზოგიერთ ადამიანს ათავსებენ ინსტიტუციაში ბავშვობიდანვე, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ არასდროს არ ჰქონიათ იმის შესაძლებლობა, რომ დაემყარებინათ კავშირები და ურთიერთობები თავიანთი ოჯახის წევრებსა და ნათესავებთან.

არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც კიდევ უფრო მეტად უწყობენ ხელს რეზიდენტული დაწესებულებებში არსებულ სეგრეგაციასა და იზოლაციას. მაგალითად, ინსტიტუციებში მცხოვრებ ადამიანებს ხშირად არ აქვთ უფლება, თავად გადაწყვიტონ, თუ რას გააკეთებენ დღის მანძილზე. მათ დღეებსა და აქტივობებს გეგმავენ და წყვეტენ სხვა ადამიანები. იმის მაგივრად, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებმა მიიღონ მხარდაჭერა საზოგადოებაში არსებული ჩვეულებრივი სერვისების მისაღებად, მათ ყველა ეს სერვისი (მაგალითად, ექიმის, სტომატოლოგის ან დალაქის მომსახურება) მიეწოდებათ რეზიდენტულ დაწესებულებებში. აქ მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები ასევე ხშირად განიცდიან ბარიერებს გადაადგილების კუთხითაც, რადგანაც მათ ხშირად არ აქვთ წვდომა და მხარდაჭერა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სარგებლობისათვის. ამის მაგივრად, მათი ტრანსპორტირება ხდება ინსტიტუციის "სპეციალური ავტობუსებით". აღნიშნული პრაქტიკის საპირისპიროდ, იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ საზოგადოებაში და იღებენ საჭირო მხარდაჭერას, აქვთ წვდომა ადგილობრივ სერვისებზე, როგორიცაა ტრანსპორტირება, სამედიცინო მომსახურება, განათლებასთან დაკავშირებული სერვისები და ა.შ.

ქითი

დამოუკიდებელ ცხოვრებასთან ძალიან ბევრი რისკია დაკავშირებული, ამიტომ სჯობს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებზე "ზრუნვა მოხდეს" რეზიდენტულ დაწესებულებებში.

ფაქტი

ინსტიტუციები საცხოვრებლად უფრო სახიფათო ადგილია, ვიდრე საზოგადოება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ყოველთვის განიხილებოდნენ "ზრუნვის" ობიექტებად, რომელიც დამოკიდებულია სხვაზე და არა, როგორც სხვადასხვა საჭიროების და სურვილების მქონე ინდივიდები. ასეთი მიდგომა კი ნიშნავდა მომსახურებების მიწოდების ტრადიციულ მოდელს, როგორიცაა: ჯგუფური სახლები და დაწესებულებები, რომლებიც ფოკუსირებული არიან ადამიანის შეზღუდულ შესაძლებლობასა და/ან რისკებზე და ამყარებენ სხვაზე დამოკიდებულებას.

კვლევები პირიქით ადასტურებენ, რომ რეზიდენტული დაწესებულებები უფრო სახიფათო ადგილია საცხოვრებლად, ვიდრე საზოგადოება. ასეთ დაწესებულებებს ბევრი რისკი უკავშირდება, როგორიცაა დაუდევრობა, ფიზიკური და სექსუალური ძალადობა, იძულებითი მკურნალობა, იძულებითი შრომა და ა.შ. ამ რისკების მიზეზია რეზიდენტულ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია; ინსტიტუციების გადატვირთვა; პერსონალის მიერ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება ინსტიტუციაში მცხოვრებ ადამიანებთან კონსულტაციის გარეშე; თანხების განაწილებისა და ხარჯების ნაკლები გამჭვირვალობა და ინსტიტუციების სრული იზოლაცია. აღნიშნულის საპირისპიროდ, დამოუკიდებელი ცხოვრების აქტივობები, როგორიცაა პერსონალური ბიუჯეტის ქონა და მართვა, აძლიერებს ადამიანებს და აძლევს კონტროლის საშუალებას იმაზე, თუ რა ტიპის და მასშტაბის მხარდაჭერას მიიღებს. ეს პროცესები უფრო გამჭვირვალეა და რაც მთავარია, დახარჯული თანხები პასუხობს ადამიანის კონკრეტულ საჭიროებებს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი ცხოვრების პრაქტიკა მიღებული და აღიარებულია ევროპულ და საერთაშორისო დონეზე, ზოგიერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს ჯერ კიდევ აიძულებენ, იცხოვრონ რეზიდენტულ დაწესებულებაში, მათი სურვილების წინააღმდეგ. ეს შეიძლება იყოს გამოწვეული იმ მიზეზით, რომ იმ ადგილზე, სადაც ისინი ცხოვრობენ, არ არსებობს ან არ ხდება დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ადეკვატური სერვისები და ხდება ამ სერვისებისა და რესურსების კონცენტრირება და მიწოდება მხოლოდ ინსტიტუციებში.

დამოუკიდებელი ცხოვრების მოძრაობის წევრები მსოფლიოს გარშემო სასტიკად წინააღმდეგი არიან, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები მოწყდნენ თავიანთ ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოს, ოჯახს და მეგობრებს და იცხოვრონ რეზიდენტულ დაწესებულებებში იმის გამო, რომ არ არსებობს სათანადო ინდივიდუალური მხარდაჭერა საზოგადოებაში. პირიქით, დამოუკიდებელი ცხოვრების მოძრაობები ხელს უწყობენ სერვისების კრეატიული მოდელების განვითარებას და ეხმარებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, რომ იცხოვრონ საკუთარი არჩევანის მიხედვით, იყვნენ დამოუკიდებელი და ეკონომიკურად აქტიურები.

ქითი

დამოუკიდებელი ცხოვრება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის შეიძლება მიიღწეს ჯგუფური სახლებისა და დღის ცენტრების აშენებით.

ფაქტი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ხშირად ათავსებენ ჯგუფურ სახლებსა და დღის ცენტრებში, რადგან არ არსებობს მათთვის საჭირო მხარდაჭერის სერვისები.

მართალია, ჯგუფური სახლები და დღის ცენტრები ძალიან ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახებს სხვა სერვისების არარსებობის პირობებში, აქაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან, ხშირად აკლიათ ელემენტარული თავისუფლება და აკეთებენ სხვადასხვა აქტივობებს, რომელიც მათ შეიძლება მოსწონდეთ და შეიძლება არა (მაგალითად, ხატვა, მებაღეობა და ა.შ.). ჯგუფური სახლები და დღის ცენტრები ხშირად რეზიდენტული დაწესებულების ხასიათის მატარებელია შემდეგი მიზეზების გამო: მკაცრი რუტინა, რასაც მიყვებიან როგორც ბენეფიციარები, ასევე პერსონალი; ზედმეტად მზრუნველი დამოკიდებულება პერსონალის მხრიდან; დიდი რაოდენობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთად კვება და მომსახურება; ინდივიდუალური მხარდაჭერის სერვისების არარსებობა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის საკუთარი ცხოვრებაზე კონტროლის შეზღუდვა; გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებისა და ავტონომიურობის შეზღუდვა; მედიკამენტების ზედმეტი გამოყენება და ა.შ.

უფრო მეტიც, ჯგუფური სახლები და დღის ცენტრები კიდევ უფრო ამკვიდრებენ დამოკიდებულებას "ჩვენ და ისინი" და იმ ხედვას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები საზოგადოებისაგან ცალკე უნდა ცხოვრობდნენ. ჯგუფში ცხოვრება და ყველაფრის ერთად კეთება ამყარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის, როგორც "განსხვავებული" ადამიანის იმიჯს და კიდევ უფრო ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, იცხოვრონ, როგორც საზოგადოების წევრებმა.

იგივე მიზეზით, დამოუკიდებელი ცხოვრების მიღწევა შეუძლებელია რეზიდენტულ დაწესებულებებში, რომელსაც მიეკუთვნება ჯგუფური ტიპის სახლებიც. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის ადეკვატური სერვისების განვითარების მთავარი პრინციპი არის ის, რომ მხარდაჭერის სერვისები არ უნდა იყოს მიბმული საცხოვრებელ სივრცესთან: თუ ადამიანს სურს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, მას უნდა ჰქონდეს ამის გაკეთების საშუალება ისე, რომ არ დაკარგოს მისთვის განკუთვნილი მხარდაჭერის სერვისები.

მარტივად რომ ვთქვათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ინდივიდუალურ და მათ მოთხოვნებზე მორგებულ სერვისებზე, როგორიცაა პერსონალური დამხმარის მომსახურება, თუ და როცა საჭიროა, მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. ასეთი მხარდაჭერის სერვისები არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდდამხოლოდ პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე (როგორიცაა პირადი ჰიგიენა და კვება). ისინი ასევე უნდა სთავაზობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს რეალურ შესაძლებლობებს, რომ განვითარდნენ და მონაწილეობა მიიღონ ოჯახისა და საზოგადოების ცხოვრებაში, მიიღონ განათლება, დასაქმდნენ, ჩაერთონ თემის აქტივობებში და ა.შ.

მითი

დამოუკიდებელი ცხოვრება ყველასთვის ძალიან ძვირია.



ფაქტი

დამოუკიდებელი ცხოვრება ადამიანის უფლებაა, რომელზე უარის თქმაც არ შეიძლება თანხების დაზოგვის მიზნით.

ხშირად ამტკიცებენ ხოლმე, რომ, მართალია საზოგადოებაში ცხოვრება უთუოდ უკეთესია, ვიდრე რეზიდენტულ დაწესებულებაში, ძალიან ძვირია დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდამჭერი ღონისძებების გატარება ყველასთვის, ვისაც ეს სჭირდება. აღნიშნულ აზრი კი ძალიან ბევრ პრობლემას ქმნის.

პირველ რიგში, და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი ცხოვრება ადამიანის უფლებაა და არ შეიძლება ადამიანს უარი ეთქვას ამ უფლებაზე იმის გამო, რომ ზოგიერთ ადამიანი ამას ძვირად თვლის. მეორე, ის არგუმენტი, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება ყოველთვის უფრო ძვირია, ვიდრე რეზიდენტულ დაწესებულებაში, როგორც წესი, მოკლებულია საფუძვლიან ანალიზსა და მტკიცებულებას.

სამწუხაროდ, ჯანდაცვასა და სოციალურ სერვისებთან დაკავშირებული პროგრამების დაფინანსების სტრუქტურა ისეთია, რომ ის უფრო აქეზებს ადგილობრივ მთავრობებს, რომ ამჯობინონ და განახორციელონ რეზიდენტული დაწესებულებების მხარდაჭერა. ისინი კი, ვინც მაინც ხელს უწყობენ დამოუკიდებელ ცხოვრებას, როგორც წესი, აწესებენ ზღვარს იმ მხარდაჭერის სერვისებზე, რაც ერთმა ადამიანმა შეიძლება მიიღოს. ინსტიტუციაში ცხოვრების ხარჯები განისაზღვრება ჯგუფური მეთოდით და ჩვეულებრივ, ძალიან რთულია ხოლმე იმის განსაზღვრა, თუ საერთო ჯამში რა თანხა იხარჯება რეზიდენტულ დაწესებულებებზე და კონკრეტულად რას ფარავს აღნიშნული თანხა. დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერა კი მოითხოვს, რომ თანხები განაწილებული და განსაზღვრული იყოს ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, პერსონალური ბიუჯეტის ფორმაში, რომელსაც იყენებს თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი, რათა მიიღოს მისთვის საჭირო მხარდაჭერა. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო და არა მარტო, შედარება დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერისათვის საჭირო ხარჯებსა და რეზიდენტულ დაწესებულებებისთვის განსაზღვრულ თანხებს შორის მეტად რთულია. დამოუკიდებელი ცხოვრება მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს არსებულ სერვისებსა და მათი დაფინანსების სტრუქტურაში და არა არსებული სერვისებზე უბრალო დანამატების გაკეთებას.

ასევე სამწუხაროა, რომ გადაწყვეტილების მიმღები ადამიანები ვერ აღიქვამენ დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას, როგორც სოციალურ და ეკონომიკურ ინვესტიციას. იმის მაგივრად, რომ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დახმარება, რომ მათ თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რეზიდენტულ დაწესებულებებში რესურსები ისეა გადანაწილებული და ათვისებული, რომ შენარჩუნდეს და კიდევ უფრო გამყარდეს სხვაზე დამოკიდებულება. ამას კი შედეგად მოჰყვება საჭიროზე უფრო მეტი დანახარჯი სოციალურ პროგრამებზე და დანაკარგი გადასახადებში, რომელიც შეიძლებოდა გადაეხადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, თუ მოხდებოდა მისი ხელშეწყობა დასაქმების კუთხით, პერსონალური ასისტენტის დაქირავების კუთხით და ა.შ.

იმის გამო, რომ დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერას მცდარად აფასებენ, როგორც ძალიან ძვირ საკითხს, ხშირად ფიქრობენ, რომ ეს მხოლოდ მდიდარ ქვეყნებშია ხელმისაწვდომი. თუმცა, ფაქტია, რომ განვითარებად ქვეყნებშიც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი იხარჯება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეზიდენტული დაწესებულებების შენახვაზე. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს არსებული ფინანსური რესურსების გადანაწილება ისე, რომ ხელი შეეწყოს დამოუკიდებელ ცხოვრებას, როგორც ინსტიტუციების ალტერნატივას.

ქითი

დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის სერვისები, როგორიცაა პერსონალური დამხმარე, არ გამოდგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის.



ფაქტი

გამოცდილება აჩვენებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს, ისევე, როგორც მათი ოჯახის წევრებს, ძალიან კარგად შეუძლიათ ისარგებლონ პერსონალური დამხმარის სერვისებით.

დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის სერვისები, როგორიცაა პერსონალური დამხმარე, ხშირად მხოლოდ მოზრდილებისათვისაა ხელმისაწვდომი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მხარდაჭერის სერვისების მიწოდება ხდება მხოლოდ სეგრეგირებულ დაწესებულებებში, როგორიცაა სპეციალური სკოლები, ბავშვთა სახლები, დღის ცენტრები და ა.შ. ეს განსაკუთრებით მართალია ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ბავშვების ან კომპლექსური საჭიროებების მქონე ბავშვების შემთხვევაში. მხარდაჭერის ნაკლებობა ოჯახში ან ზოგადი განათლების სისტემაში ქმნის მნიშვნელოვნად სტრესულ გარემოს ბავშვებისათვის და იწვევს ბავშვების ჩამოშორებას ოჯახისა და თანატოლებისაგან. ის ასევე ასაზრდოებს "სპეციალური" სერვისებისა და ინსტიტუციების საჭიროების იდეასა და პრაქტიკას.

დამოუკიდებელი ცხოვრება არაა მარტო ზრდასრულებისთვის. იგი მოიცავს ცხოვრებისეული გამოცდილების ფართო ასპექტებს, ბავშვობიდან დაწყებული გარდამავალი ასაკითა და ზრდასრულობამდე მიღწევის შემდეგ დასაქმებისა და სრულფასოვანი ზრდასრული ცხოვრების ჩათვლით, ხანდაზმულობამდე. რაც უფრო ადრე მიიღებს ადამიანი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო მხარდაჭერას და მიეცემა საშუალება, რომ იცხოვროს და გაიზარდოს ოჯახში თავისი თანასწორების გვერდით, მით უფრო თავდაჯერებული და აქტიური იქნება ეს ადამიანი ზრდასრული ცხოვრების დროს. მეორეს მხრივ, ინსტიტუციონალიზაცია ხშირად იწვევს დამატებით შეზღუდვებსა და კომპლექსებს და აიძულებს ადამიანს, მთელი ცხოვრება გაატაროს რეზიდენტულ დაწესებულებაში.

ცხადია, პერსონალური დამხმარის სერვისი არ ანაცვლებს იმ ზრუნვასა და ყურადღებას, რასაც ოჯახის წევრები და/ან მზრუნველები იჩენენ ბავშვის მიმართ. აღნიშნული სერვისის მიზანია, შეავსოს სხვების მიერ გაწეული ზრუნვა, სადაც საჭიროა და მისცეს ბავშვის მშობლებს/მზრუნველებს იმის საშუალება, რომ იმუშაონ, გაატარონ დრო სხვა შვილებთან და დაისვენონ, როცა საჭიროა. პერსონალური დამხმარე ასევე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ინტეგრირებული იყვნენ ზოგადი განათლების სისტემაში და ისწავლონ თავიანთ თანატოლებთან ერთად. თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები გამოცდიან დამოუკიდებელ ცხოვრებას ადრეული ასაკიდანვე, მათ ექნებათ პიროვნული განვითარებისა და სოციალური კავშირების დამყარების ისეთივე შესაძლებლობები, როგორიც შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე მათ თანატოლებს.

და ბოლოს, ერთერთი არგუმენტი, რომლითაც ამართლებენ ხოლმე აზრს, თითქოს პერსონალური დამხმარის სერვისი არაა შესაფერისი ბავშვებისათვის, არის ის, რომ ბავშვებს არ შეუძლიათ მათი დაქირავება და "მართვა". თუმცა, როგორც იმ ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, სადაც ბავშვებს ჰყავთ პერსონალური დამხმარე, მათ მშობლებს ან მზრუნველებს (დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრებისა და სხვა მსგავსი ორგანიზაციების დახმარებით) კარგად შეუძლიათ უზრუნველყონ პერსონალური დამხმარეების ისე მუშაობა, რომ მათ დააკმაყოფილონ ბავშვის საჭიროებები.

ქითი

შეუძლებელია, გააკონტროლო დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის სერვისების “ხარისხი”

ფაქტი

რადგანაც დამოუკიდებელი ცხოვრება ადამიანებს აძლევს საშუალებას, თავად აირჩიონ მხარდაჭერის ტიპი, შესაბამისად უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი მიიღებენ ზუსტად ისეთ მხარდაჭერას, რაც უკეთესად აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს.

მომსახურების “ხარისხის” გაზომვა ძალიან სუბიექტურია და ძირითადად უნდა ემყარებოდეს იმ ადამიანის გამოცდილებას, რომელიც სარგებლობს ამ მომსახურებით. ეს უფრო ადვილი გასაკეთებელია დამოუკიდებელი ცხოვრების დროს, რადგან ამ დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს უფრო მეტი არჩევანი და კონტროლი აქვთ მხარდაჭერის სერვისებზე. დამოუკიდებელი ცხოვრება ადამიანებს აძლევს საშუალებას, თავად დაიქირაონ და მოამზადონ თავიანთი დამხმარეები და, საჭიროების შემთხვევაში, დაითხოვონ კიდეც ისინი. “პირდაპირი ანაზღაურების” და “პერსონალური ბიუჯეტების” დახმარებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თავად წყვეტენ მათთვის საჭირო მხარდაჭერისა და ამ მხარდაჭერის საკუთარ საჭიროებებზე მორგების საკითხებს. ამ მიზეზით, ბევრად უფრო ადვილია “ხარისხის” კონტროლი, ვიდრე დიდ რეზიდენტულ დაწესებულებებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებს შეუძლიათ, დაეხმარონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ამ კუთხით: მიაწოდონ ინფორმაცია პერსონალური ასისტენტების შესახებ; დაეხმარონ პერსონალური ბიუჯეტის მართვაში; დაეხმარონ მათთვის საჭირო მხარდაჭერის არჩევაში და ა.შ.

ინსტიტუციებში ზედმეტად დაკავებული არიან ხელშესახები და პრაქტიკული საკითხების გაზომვით, რომ შეაფასონ და დაამტკიცონ მომსახურების ხარისხი (მაგალითად, რამდენად სუფთაა შენობა, ან რამდენად ხდება ადამიანის სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილება). ასეთი პრაქტიკა, როგორც წესი, გამოწვეულია ორგანიზაციის პასუხისმგებლობით სახელმწიფოსთან ან დონორებთან, რომ გაამართლონ კონტრაქტით აღებული ვალდებულებები და შესაბამისად, ნაკლები ყურადღება ექცევა ინსტიტუციაში მცხოვრები ადამიანის შეხედულებებსა და შეფასებებს. დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხი კი, პირიქით, იმით განისაზღვრება, თუ რამდენად აძლევენ მხარდაჭერის სერვისები ადამიანს იმის საშუალებას, რომ იცხოვროს ისე, როგორც სურს და სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი.

ლექსიკონი

დამოუკიდებელი ცხოვრება ნიშნავს ადამიანის უფლებებზე დაფუნებული პოლიტიკის ყოველდღიურ განხორციელებას. დამოუკიდებელი ცხოვრება შესაძლებელია, როგორც გარემოსმხრივი, ასევე ინდივიდუალური ფაქტორების კომბინაციით, რომელებიც საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, თავად აკონტროლონ საკუთარი ცხოვრება. ამაში იგულისხმება თავისუფალი არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების უფლება, თუ სად იცხოვრონ, ვისთან ერთად იცხოვრონ და როგორ იცხოვრონ. სერვისები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის და სერვისების მიწოდება უნდა ხდებოდეს თანაბარი შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც უფრო მეტ მოქნილობას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. დამოუკიდებელი ცხოვრება მოითხოვს გარემოს და ტრანსპორტის ადაპტირებას, ტექნიკური დახმარების ხელმისაწვდომობას, პერსონალური ასისტენტის სერვისსა და თემში დაფუძნებულ სხვადასხვა მომსახურების არსებობას. აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება არის ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანისათვის, მათი მდგომარეობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.

პერსონალური დამხმარის სერვისი არის ინსტრუმენტი დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისათვის. პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება უნდა მოხდეს ინდივიდუალური საჭიროებების შეფასების საფუძველზე და განისაზღვრებოდეს კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცხოვრებისეული სიტუაციებით. პერსონალური ასისტენტისთვის გათვალისწინებული სახელფასო განაკვეთი უნდა იყოს ადეკვატური თითოეულ ქვეყანაში არსებულ ზოგად სახელფასო განაკვეთთან მიმართებაში. როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, ჩვენ უნდა გვქონდეს უფლება, რომ დავიქირაოთ, მოვამზადოთ და ვუხელმძღვანელოთ ჩვენს დამხმარეებს, რათა მივიღოთ ის სათანადო მხარდაჭერა, რომელსაც ჩვენ თავად ავირჩევთ. პერსონალური ასისტენტის სერვისისათვის გათვალისწინებული თანხები უნდა მოიცავდეს როგორც თავად ასისტენტის ხელფასს, ასევე ამ სერვისთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს, როგორიცაა ადმინისტრაციული ხარჯები და სხვა.

დეინსტიტუციონალიზაცია არის ისეთი პოლიტიკური და სოციალური პროცესი, რომელიც იზოლირებულ და სეგრეგირებულ გარემოში გაწეული სერვისებსა და ზრუნვას მიმართავს დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისაკენ. ეფექტური დეინსტიტუციონალიზაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ინსტიტუციაში მოთავსებულ ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა, გახდეს სრულფასოვანი მოქალაქე და საკუთარ ხელში აიღოს საკუთარი ცხოვრების სადავეები (ან, საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერით). დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის აუცილებელი ნაწილია ფინანსურად და ფიზიკურად ხელმისაწვდომი საცხოვრებელი სივრცის უზრუნველყოფა საზოგადოებაში, წვდომა საზოგადოებრივ სერვისებზე, პერსონალური დამხმარის სერვისი და მსგავსი გამოცდილების მქონე ადამიანების დახმარება და კონსულტაცია. დეინსტიტუციონალიზაცია ასევე ნიშნავს მომავალში ადამიანების ინსტიტუციებში მოთავსების პრევენციას და შესაძლებლობების უზრუნველყოფას ბავშვებისათვის, რომ გაიზარდონ საკუთარ ოჯახებში, მეგობრებთან და მეზობლებთან ერთად და არ მოხდეს მათი მოთავსება ინსტიტუციებში.

ინსტიტუცია ნიშნავს ნებისმიერ ისეთ ადგილს, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ამყოფებენ იზოლირებულად და აიძულებენ იცხოვრონ სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან ერთად. ინსტიტუცია ასევე ნიშნავს ნებისმიერ ისეთ ადგილს, სადაც ადამიანებს არ აქვთ უფლება, თავად აკონტროლონ თავიანთი ცხოვრება და მიიღონ ყოველდღიური გადაწყვეტილებები. ინსტიტუცია არ განისაზღვრება მხოლოდ მისი ზომით.

რეზიდენტულ დაწესებულებებზე დაფუძნებული ზრუნვა არის ტერმინი, რომელსაც იყენებენ სერვის-პროვაიდერები, რათა აღწერონ ისეთი გარემო, რომელიც სპეციალურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვისაა მოწყობილი (ჯგუფური ტიპის სახლი, დაცული საცხოვრებელი ცენტრები და ა.შ.) და სადაც ხდება ადამიანების დაჯგუფება მათი შეზღუდული შესაძლებლობის ტიპის/ხარისხის მიხედვით. ასეთი საცხოვრისები შეიძლება იყოს პატარა (მაგალითად, 6-კაციანი) ან დიდი (მაგალითად, 30-კაციანი). ეს არის ისეთი მიდგომა, რომლის დროსაც კონკრეტული ადამიანისთვის საჭირო მხარდაჭერის სერვისები მიბმულია მის საცხოვრებელ ადგილზე და ხდება ადამიანის არჩევანის შეზღუდვა, თუ სად იცხოვროს და ვისთან ერთად. რეზიდენტული დაწესებულებები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი ფიზიკურად ქალაქის ცენტრში ან ქალაქის გარეუბანშია მოთავსებული, ხშირად ეფუძნება "ერთ ზომა ერგება ყველას" პრინციპს და იგივენაირად ახდენს ადამიანების იზოლირებას, როგორც ისეთი დაწესებულებები, რომლებიც ქალაქგარეთაა მოთავსებული.

“მე მჯერა, რომ საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფას მასიური ზეგავლენა აქვს იმაზე, თუ რამდენად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიქვამს თავს კონკრეტული ადამიანი. შესაფერის საცხოვრებელ გარემოში, კვირაში რამდენიმე-საათიანი დახმარების პირობებში, მე შემიძლია უფრო განვვითარდე, ვიმუშაო, მივიღო აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც მოხალისემ და უბრალოდ ვიცხოვრო. არასათანადო საცხოვრებელ გარემოში კი, საჭირო მხარდაჭერის გარეშე, თავს ისე ვგრძნობ, როგორც მახეში. მენატრება ყოველდღე შხაპის მიღების ბედნიერება, უფრო და უფრო მეტად მეპარება ეჭვი, რომ შევძლებ ცხოვრებას თავი გავართვა და მომავლის იმედი შევინარჩუნო. ამას კი კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ არ შემიძლია, ვინმეს დავურეკო და ვთხოვო ჩემთან დარჩენა, როცა ამის საჭიროებას ვგრძნობ.”

“გამიმართლა და წელს გამომიყვეს საცხოვრებელი ფართი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჩემი პერსონალური დამხმარე ყოველდღე შეძლებს ჩემს დახმარებას; რომ მე შემიძლია მქონდეს ისეთი ცხოვრება, როცა მე თავად გადავწყვეტ, სად და როდის წავიდე და რა ვჭამო; უბრალოდ რაიმე კონკრეტული სერვისის ანაზღაურების მაგივრად ვხედავ, რაში იხარჯება ჩემი ფული. მე უკვე კარგად მიცნობენ ჩემს სამეზობლოში, როგორც მეგობრულ ადამიანს, თვეში ერთხელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფოკუს-ჯგუფსაც ვესწრები ხოლმე. შესაბამისად, მე ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება ჩემთვის საუკეთესო და ერთადერთი არჩევანია.”

დაგვიკავშირდით:

დამოუკიდებელი ცხოვრების ევროპული ქსელი – European Network on Independent Living

პირველი სართული, ჩეის ჰაუსი
ქალაქის ბიზნეს პარკი
ჩრდილოეთის გზაჯვარედინი, მალაჰიდის ქუჩა
დუბლინი 17, ირლანდია

ტელ: +3531 525 0700
ელ-ფოსტა: secretariat@enil.eu
ვებ-საიტი: www.enil.eu

Ground Floor, Chase House
City Junction Business Park
17 Northern Cross, Malahide Road
Dublin 17, Ireland

Phone: +3531 525 0700
E-mail: secretariat@enil.eu
Website: www.enil.eu

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
მისამართი: კედიას ქ.7, 0154
თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 35 66 09
ელ-ფოსტა: ciltbilisi@gmail.com
ვებ-გვერდი: www.disability.ge
Facebook: კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის/Coalition for Independent Living

წინამდებარე ბროშურის "მითების მსხვრეველი - დამოუკიდებელი ცხოვრება" დაბეჭდვა და გავრცელება შესაძლებელი გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირების პროექტის ფარგლებში, რომელსაც კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ახორციელებს USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით.